საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

KA010133319081923

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40–51–48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40–51–48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№5678 22 / მაისი / 2023 წ.

ქალბატონ ელენე ნოდიას
ელფოსტა: foi+request-1948-fd2d3a19@askgov.ge

ქალბატონო ელენე,

საქართველოს იუსტიციის სამინისტროში წარმოდგენილი განცხადების (საქართველოს იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციის №01/12148; თარიღი: 21.04.2023) პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

2013 წლის პირველი იანვრიდან 2023 წლის 3 მაისის ჩათვლით პერიოდში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საბიუჯეტო სახსრებიდან თანამშრომლის საზღვარგარეთ სწავლის მიზნით საუნივერსიტეტო თუ პროფესიული კურსის სრული დაფინანსების (რაც მოიცავს სრული სასწავლო კურსის, ვიზის, საცხოვრებელი ფართობის დაქირავების, ტრანსპორტირების, ჯანმრთელობის დაზღვევის, კვებისა და სხვა სადღეღამისო ხარჯებს) შესახებ ინფორმაცია არ იძებნება.

დამატებით აღვნიშნავთ, რომ „პროფესიული საჯარო მოხელის მიერ პროფესიული განვითარებისათვის შვებულებით სარგებლობის წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 23 მაისის № 246 დადგენილებით რეგულირდება პროფესიულ საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარებისათვის შვებულებით სარგებლობის პირობები, ხანგრძლივობა და შვებულებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხები, მათ შორის, ანაზღაურების წესი.

დამატებით გაცნობებთ, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო მისი მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ დახმარებით მუდმივად ზრუნავს საკუთარი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი)

სალომე რთველაძე